

იოსებ ტაბიძე

კოსმოსური ოღისეა 3001



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2009

UDC (უკ) 821.353.1 – 344
ტ – 154

© ი. ტაბიძე, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, 0. შავსაჰაშის ბაზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-868-4

კოსმოსური ოდისეა 3001

Cosmic Odyssey 3001

*ვუძღვნი მეცნიერების პროგრესირებასა და ერთა
შორის კოსმოსურ მშვიდობიანობას.*

*Dedicated to Progress of Science and cosmic peaceful
among nations.*

3001 წელს, გაეროს ეგიდით, უახლოეს ვარსკვლავისაკენ გაგზავნილი კოსმოსური ეკიპაჟი „ინტერ 110“, შვიდი ასტრონავტისაგან შედგებოდა: შვეიცარიელი (მეთაურია), ქართველი, ამერიკელი (შტატებიდან), რუსი, სამხრეთ ამერიკელი, თურქმენი და იაპონელი. კოსმოსურ ცენტრში მათ პირობითად „შესანიშნავი შვიდეული“ შეარქვეს.

აგერ უკვე 3 წელიწად ნახევარი გავიდა მათი მგზავრობიდან და $X \cdot V$, +100კმ/წმ აჩქარებული სისწრაფით მოძრავმა ხომალდმა, რომელსაც თერმოზირთვითი ამჩქარებელი ძრავი აქვს, როგორც იქნა მიაღწია, უახლოესი გამოსაკვლევ ვარსკვლავის პლანეტას, რომელიც, 1000 წლის წინ, მიუღწეველ რომელიღაც შორეულ ვარსკვლავთან მიიჩნეოდა, მაგრამ ჩვენს გალაკტიკის ორბიტაში მოძრავი დიდი და მცირე ვარსკვლავები, მეტად თუ ნაკლებად, შორდებიან ან უახლოვდებიან ერთმანეთს. ამ მოვლენების გამო, შეიქნა უახლესი ტექნიკის საშვალეებით ამ მოახლოებულ ვარსკვლავის პლანეტისაკენ მგზავრობა შესაძლებელი, რომელსაც, კოსმონავტებმა ჩვენს პლანეტასთან მსგავსების გამო მას, „პარტნიორი მან-

დილოსანი“ შეარქვეს. იგი მზიდან ათობით მლრ/კმ-ით იყო დაშორებული

– რომელი კუთხით შევდივართ „მანდილოსნის“ ატმოსფეროში, მეთაურო?, – იკითხა ქართველმა, როცა პლანეტას ორჯერ უკვე შემოუფრინეს და სურათებიც გადაუღეს.

– ეგ „მანდილოსნის“ მდგომარეობას გააჩნია, ბიჭო, – იხუმრა მეთაურმა, როგორც ყოველთვის რთული სიტუაციისას სჩვევია ხოლმე.

იგი კარგ ხასიათზე იყო, რადგან მანამდე, პლანეტაზე უპილოტო თვითმფრინავი შეაგზავნა, რომლის მონაცემების მიხედვით ყველაფერი გათვალისწინებული იქნებოდა.

პლანეტაზე შესვლისთანავე ატმოსფერომ ხომალდი, ათი წუთით ძალზე გაახურა, მაგრამ ცეცხლგამძლე კორპუსის გამო, ამ გამოცდასაც გაუძლო და მეთაურმა მისი ოკეანეზე რბილად დაშვება ამჯობინა, რომელიც კარგად შესრულდა.

სამიოდ წუთში, ხომალდის ილუმინატორიდან მოვარდისფრო ცა და სანაპიროს უმშვენიერესი ლანდშაფტი გამოჩნდა. სანაპიროს ცის თავზე, მთვარის მსგავსი, მცირე პლანეტა, მკრთალად ანათებდა, რაც სალამო ჟამს მოასწავებდა.

რამდენიმე წუთში, ხომალდის კიჩოზე, მოულოდნელად უზარმაზარი დიდ ნისკარტიანი ფრინველი დაფრინდა. ფრინველმა კოსმონავტებს ჩვენი პლანეტის, მილიონი წლის წინანდელი პერიოდი მოაგონა და ერთი სული გაუჩნდათ სანაპიროზე გადასულიყვნენ და ეს ახალი მიწა დაეთვალთვალათ, ვით ან რით იყო იგი დასახლებული? მაგრამ ამდენი ხნის ნამ-

გზავრნი, თავს ისე სუსტად გრძნობდნენ რომ, კიდევ ერთი კვირა დასჭირდათ სრულ შეგუებას. თუმცა ამ შემთხვევაში მოძრაობა ყველაზე კარგი ნამალია.

ატმოსფეროს შესწავლის შემდეგ, ეკიპაჟის წევრებმა გადანიშნული მითითებები მიიღო, ყველგანმავალი ამფიბიით ნაპირზე ასულიყვნენ და კლიმატი უკეთ შეესწავლათ.

ლაბორატორიული და საბრძოლო იარაღებით აღჭურვილი ამფიბიით, ნაპირს მიაღწიეს. სანაპიროზე უზარმაზარი მაღალი პალმის ხეები დახვდათ. ერთი შეხედვით, აქ ისეთი სიმშვიდე სუფევდა რომ, კაცს ნამდვილი სამოთხე ეგონებოდა.


გადაწყდა, ყველგანმავლით (რომელიც წყლის სანვავით მუშაობდა) მიდამო შემოეცვლოთ და გაეგოთ ფრინველების გარდა კიდევ ვინ სახლობდა ამ წყნარ და მოვარდისფრო პლანეტაზე. ამის გაფიქრება და საშინელი ბლავილით, ასიოდ მეტრში, ხე გადანვა, საიდანაც მამონტის მსგავსი ცხოველი გამოჩნდა, გამოჩნდა და დინჯი ბაჯბაჯით მანქანისკენ დაიძრა.

– ერიჰა, აქეთ მოდის, რა მოვუხერხოთ? – იკითხა ამერიკელმა შტატებიდან.

– მოვიდეს, თუ შეგვეხება, „ძაბვა ჩართულია, – თქვა, ქართველმა.

– დაიცავთ, თუ უფრო ახლოს მოვა, თავში ვესვრი, – თქვა, მეთაურმა.

– იქნებ, სანამ მოვიდოდეს, მანამდე ლაზერით დავაფრთხოთ? – აზრი გამოთქვა, სამხრეთ ამერიკელმა.



– არა, სჯობს უფრო ახლოს მოვიდეს, – არ იშლიდა თავისას მეთაური.

მაგრამ, ეს უცნაური ცხოველი, იქვე შორიახლო ჩამოჯდა და ყველგანმავალს გაკვირვებული თვალებით დაუწყო ყურება. ეკიპაჟმა მანქანა უკან დაძრა, მაგრამ, მამონტიც მაშინვე ბაჯბაჯით მიჰყვა. თათით შეხებას კი, რატომღაც ჯერ ვერ ბედავდა, ეტყობოდა ასეთი უცნაური ცხოველი ჯერ არ ენახა...

– სჯობს ხმით გავაგდოთ, ვნახოთ მისი რეაგირება, – თქვა იაპონელმა.

– მე კი მგონია, ლაზერით მოვუწვავთ ტაკო, – ამბობდა, თურქმენი.

ბოლოს ზარბაზნის ხმით დააფრთხეს ბაჯბაჯა...

კოსმონავტიებმა ცაზე კიდევ ერთი ისეთივე, მცირე ზომის, ოღონდ განსხვავებული ფერის მთვარე შეამჩნიეს, თანაც ამჩნევდნენ რომ, პლანეტაზე ადრე თენდებოდა და ადრე ღამდებოდა. ხშირი იყო ქარიანი და ღრუბლიანი ამინდებიც. როცა ეკიპაჟი ყველგანმავლიდან გადმოვიდა და იქვე სანაპიროს მიდამოებში გაიარ გამოიარეს, საათ-ნახევარში, როგორც მოსალოდნელი იყო, მოსალამოვდა და შემდეგ ჩამოხედა თუ ორი მთვარის ბჟუტვას არ ჩავთლით. იქედან ჩვენი მზე, 9 მაგად შემცირებული ვარსკვლავი ჩანდა.

*

ეს ღამეც კოსმონავტებმა, შეგუების გამო, უგემოვნოთ გამოიძინეს. დილით კი, ცამ მოვარდისფროდ ინათა, რომელსაც, ფრინველების ჩხავილი მოჰყვა.

– ნახეთ, ნახეთ, ისევ მოვარდისფრო-მომწვანო ღრუბლები ფუვდება, რა ლამაზია, – სიჩუმე დაარღვია, თურქმენმა.

– მალე გათენდა, ისევ კარგად ვერ გამოვიძინე, – ამბობს, ლათინო ამერიკელი.

– რას იზამთ, უნდა შევეგუოთ, სხვა გზა არ გვაქვს, – თქვა, ამერიკელმა შტატებიდან.

– მართლაც რომ, სხვა გზა არ გვაქვს, – დაადასტურა, რუსმა.

– დღეს რა გვაქვს გეგმაში, გამახსენეთ, – იკითხა ქართველმა.

– რა და ჯერ აზრზე მოვდივართ პირველ რიგში, მერე კი, საქმე გვანახებს, მიდამოს დათვალიერებისას, – მიუგო მეთაურმა.

როდესაც ავტომობილიდან გადმოვიდნენ დილის ჰაერის ჩასაყლაპად, ჰავა ნესტიანი დახვდათ და ოკეანეც ღრუბლებისა არ იყოს, მომწვანო-მოვარდისფრო ჩანდა. ბალახეულობა და ბუჩქები როგორც ჩვენს პლანეტაზე ისეთივე იყო, ოღონდ, უფრო დიდი და ქორფა იყო. მერე იქვე, შემალლებული გორაკი შენიშნეს...

– მოდით ამ გორაკზე ავიდეთ და იქიდან უფრო თვალნათლივ გამოჩნდება ტელესკოპში ყველაფერი.

მეთაურს ყველანი დაეთანხმა და გორაკისაკენ ყველგან-მავლით აუყენენ, რომელიც შეუმჩნეველობის მიზნით, გარემოს მიხედვით იცვლიდა, ფერს, ხოლო, ქართველი, ძირითადად ხომალდში რჩებოდა.

ასვლისთანავე, თვალწინ ვრცელი ლანდშაფტი გადაიშალა: მარცხენა ფერდობისკენ შერეული ტყე დაიჩითა, დაფნის ხეებით გარემოცული. ტყეში მაღალი ფართო ფოთლებიან ხეებს შორის ერია ნაძვის მაღალი ხეები. მინა რბილი, უფრო ჭაობის ფერისა იყო და ძნელად სავალი. ტყეში, ალაგ-ალაგ უცნაური ჩხავანა ფრინველები გადიფრენდნენ ხოლმე.

მარცხენა მხარის პარალელურად, რალაც გაჭიმული ზოლივით გამოჩნდა; ფერდობს ქვემოთ, იქ მისვლამდე, მცირე ტყე იყო გასასვლელი.

– მარჯვნივ, რალაც ზოლივით რომ მოსჩანს, როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს? – თქვა, ამერიკელმა შტატებიდან.

– ხომ არ მივუახლოვდეთ, აქედან ვერაფერს ვამჩნევ. ზოლის იქით, ჩემი აზრით, დიდი ხევი უნდა იყოს, – ამბობდა იპონელი, – ტელესკოპში კარგად არ ჩანს.

გადაწყვიტეს დაშვება და ტყის გავლით იმ მომალლო ზოლისკენ ასულიყვნენ.

ყველგანმავალი დინჯად მიიკვლევდა ხე-ლორლებიან ტყეში გზას, თან სურათებს იღებდნენ და დედამიწაზე გასაანალიზებლად აგზავნიდნენ, რომლებიც რამდენიმე დღის დაგვიანებით უნდა მიეღნია.

უცებ წინ, ორ უზარმაზარ მართკუთხა ლოდს შორის, დანვენილი ხის ტოტები გამოჩნდა. მეთაურმა მიმართულება იმ ლოდს შორის აიღო, მაგრამ ლოდებს გასცდა თუ არა, მოულოდნელად ნიადაგი ჩაიქცა და ავტომობილიც შიგ ჩაიყოლა. ყველგანმავალმა რამდენიმე ბრუნი გააკეთა და რაღაც ციცაბო, ღრმა ორმოში აღმოჩნდა. რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, იქიდან ამოსვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. ორმო ძალზე ციცაბო და სველი იყო ამოსასვლელად, როგორც მობილისათვის ისე ადამიანისთვისაც.

სამწუხარო კიდევ ის იყო რომ, ამ მარცხისას მობილიდან სასროლი საბუქსირე ტროსი დაზიანდა. ზემოთ კი ვერავინ ადიოდა რომ რაიმესთვის მოედო იგი, რადგან ადამიანისათვის სასროლ-საბუქსირე ტროსის წამოღება, ვერავინ გაითვალისწინა.

მეთაურმა გადაწყვეტილება მიიღო ძირითად ხომალდზე დარჩენილი ქართველისათვის რაციით შეეტყობინებინა მომხდარის შესახებ, და მეორე ყველგან მავალის საშუალებით დამხმარე სამუშაო შეესრულებინა.

სამაშველო სიგნალის გაგზავნისთანავე, ცა ოდნავ მოიქუფრა და გოგირდ ნარევი წვიმა წამოვიდა რამაც ორმოდან ამოსვლა უფრო გაართულა. მერე ძლიერი ქარი ამოვარდა და უმალ გამოიდარა, მაგრამ მაშველიდან სამწუხარო სიგნალი მოვიდა: იუნყებოდა რომ, ისიც იმნაირ ორმოში ჩავარდნილიყო და ყველაფერს ეცდებოდა ამოსასვლელად...

ამ ორმოების გამო, სამშვიდობო მისია საფრთხეში აღ-
მოჩნდა. ერთი შანსილა რჩებოდა, ძირითადად ხომალდიდან
რადიომართვის ვერტმფრენი გამოეძახებინათ და ერთ-ერთი
ასტრონავტის ზემოთ აყვანით, რომელიც მობილის საბუქსი-
რე ტროსს რომელიმე დიდ ხეს მოაბამდა, მოახერხებდნენ ავ-
ტომატურ რეჟიმში მობილის ამოყვანას, მაგრამ ეს ვერსია,
გადადეს, რადგან, შეიძლებოდა ვერტმფრენი ვინმე მოსახლე-
ობას შეემჩნია და ვინ იცის შემდეგ როგორ წარიმართებოდა
სამშვიდობო მისიის მოღვაწეობა, ამიტომ ამნაირად მოქმედე-
ბა საეჭვო იყო.

ამასობაში კი, ორმოში ჩავარდნილი ქართველი თვითონ
ცდილობდა სასროლის თოკის მეშვეობით, ალაღბედზე იქნებ
რამეს მოვსდო და ავძვრეო... და ჰა საოცრებავ, იმდენი უშე-
დეგო ცდის მერე, უცაბედად, ზემოდან რაღაც ცხოველის თუ
ადამიანის მსგავსი არსება დაინახა; სილუეტი ხან გამოჩნდე-
ბოდა, ხან მიიმალეობოდა, ისევ გამოჩნდებოდა მიიმალეობოდა,
ასე რამოდენიმეჯერ. ქართველმა იფიქრა, როგორმე ნდობაში
შევიდე და მათიანი ვეგონოო, იქნებ ამომიყვანოს კიდეცო, მე-
რე მე ვიცი, ბიჭებსაც მალე მოვნახავო. გადანყვიტა მასაც ვე-
ლურივით ემოქმედა, ტალახში ამოიგვანგვლა და უცნაურად
შესძახა, – ეეჰეე, – ეჰეჰეუ!...

უცხოო ჩამოხედა, მაგრამ ხმა არ გაუცია....

შემდეგ ქართველმა იფიქრა, მოდი რაიმეს ვეცყვი, მივა-
ნიშნებ ან ამ ბრჭყვიალა პლასტიკურ სარკეების აცმას აუთა-
მაშებო.

ასეც მოიქცა, ბრჭყვიალა ნივთები აუთამაშა და სამაშველო თოკთან ერთად ზემოთ მყოფს აუგდო.

ველურმა ნივთები აიღო თუ არა, პირიდან უცნაური რამ წარმოთქვა:

– აუააა... აუააა!..

ამანაც აქედან, – აუაა!... აუააა!... შემდეგ რადიო ჩამწერი ჩაურთო, ანახა თუ რა საამურ ხმებს გამოსცემდა, იქნებ დაინტერესდესო.

მაგრამ უცნობი მიიმალა და კარგა ხანს არ გამოჩნდა.

მოულოდნელად ისევ, აუაა – ბაო! – დაიძახა ზემოდან და გამოჩნდა, ხელში კი, სამაშველო თოკი ეკავა, თითქოს რაღაცას ანიშნებსო.

ქართველმა ასვლა სცადა და ჰოი საოცრებავ, ველურს თოკი რაღაცაზე მტკიცედ მოედო.

ორიოდ წუთში, იგი უკვე ზემოთ იყო, რა-თქმა უნდა, იარაღ ასხმული, მობილის საბუქსირეთი.

როცა ირგვლივ მიიხედა-მოიხედა, ვერავინ შენიშნა, მერე იქვე რაღაც გაფაჩუნდა და ბუჩქებს ამოფარებული, თითქმის შიშველი, ველური ქალი დაინახა; ბუჩქებიდან ჩუმად იხედებოდა. ქართველმა მისვლა სცადა, მაგრამ, ყოველ მიახლოებისას ის გაურბოდა. მერე იფიქრა, ამისათვის სად მცალიაო, მობილი ამოიყვანა, მოგნიტოფონი ჩართული დაუტოვა და ჰაიდა, ბიჭებისაკენ მისახმარებლად გასწია.

გაგზავნილი სიგნალის მიხედვით, მალე მიაგნო. შემდეგ როცა ისინი ორმოდან ამოიყვანა, მომხდარის შესახებ ყველა-

ფერი უამბო, რამაც ყველანი საოცრად გაახარა. ეჭვს არ იწვევდა ის რომ, პლანეტა ადამიანის მაგვარი ველურებით იყო დასახლებული.

– მაგათვის მერეც მოვიცლით, ახლა ორი წვერი ისევ ხომალდზე დაბრუნდება, – თქვა მეთაურმა, – ჩვენ კი კვლავ იმ ხევის დასათვალიერებლად გავწვეთ.

ასეც მოხდება, როცა უჩუმარი ყველგანმავლით იმ ხევის თავში მოექცევიან, შიგ უზარმაზარ ტბას დაინახვენ, როცა იქვე სანაპიროს მიუახლოვდნენ, თვალს არ უჯერებდნენ, ისეთი ბზინავი კენჭები დახვდებათ, ეეჭვებოდათ ეს კვარცი იყო თუ, ალმასისებრი რაღაც.


– ერთი იმათი სახეები მანახა, როცა ამას ცენტრში ნახავენ, – თქვა, ამერიკელმა შტატებიდან.

– მინამდე რთული და დიდი დრო გველის, – თქვა, მეთაურმა, რომელსაც არავითარი აღტაცება არ გამოუხატავს.

ამ დროს ტბიდან, ნენსის მაგვარი ურჩხული ამოყვინთავს, მიათვალ-მოათვალიერებს იქაურობას და დინჯად, ვითომც არაფერი მომხდარაო, კვლავ ჩაყვინთავს.

– მე მგონი, პრონტოზავრების პერიოდში აღმოვჩნდით, საინტერესოა არა? – თქვა, სამხრეთ ამერიკელმა ლიმილით. და ქვების ნიმუშები პლასტმასის კონტეინერში ჩააწყო.

– ამისთვისაც მერე მოვიცლით, ახლა მთავარია, მიდამო რაც შეიძლება ვრცლად შევისწავლოთ, – თქვა მეთაურმა. – როგორც ვატყობ, აქ კარგა ხანს მოგვიწევს დარჩენა, კამერები ჩართული გქონდეთ გადასაცემად, ახლა კი, სამხრეთისა-



კენ გავწიოთ. რუკის შედგენა არ დაგავინყდეს თან, – მიმართა იაპონელს, – ოც კილომეტრიან რადიუსს შემოვივლით და ისევ ხომალდზე დავბრუნდებით, ყოველივე ნანახის გასაანალიზებლად. ღამე კი, ვარსკვლავების მოძრაობებს შევისწავლით და ამასაც ცენტრს გავუგზავნით.

*

ამასობაში, ქართველი და თურქმენი ხომალდს დაუბრუნდნენ. დაბრუნებისას როცა ისევ ის გზა გაიარეს, ის ველური ქალი, აღარ შეხვედრიათ.

საღამოსთვის, როცა ხუთ კაციანი ეკიპაჟი ხომალდზე დაბრუნდა და ნანახის თაობაზედ იმსჯელეს, დაადგინეს; რომ პლანეტა, ორი სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის მთვარისაგან შესდგებოდა. დღე-ღამის ხანგრძლივობა 22 საათს შეადგენს, ხოლო, წელიწადის ხანგრძლივობა, ჯერჯერობით უცნობია. რაც შეეხება, იმ დიდ ორმოებს, რომლებშიც ეკიპაჟის წევრები აღმოჩნდნენ, ამერიკელის ვარაუდით, იგი ხელოვნურად უნდა ყოფილიყო ადგილობრივი ველურების მიერ შექმნილი, დიდი ცხოველების დასაჭერად, რადგან ასე, ნადირს უფრო იოლად მოკლავდნენ.

*

შემდეგი კვირისთვის შემოვლის რადიუსი 100 კილომეტრით გაიზარდა. სამი წევრი: იაპონელი, სამხრეთ ამერიკელი და თურქმენი ძირითად ხომალდზე რჩებოდა, დანარჩენები,

საბრძოლო იარაღებითა და სათანადო აღჭურვილობით, ბრონირებული ამფიბიით, გზას გაუდგება.

მოვარდისფრო ღრუბლები ალაგ-ალაგ უძრავად შემდგარიყვნენ ცაზე, ეს ბამბის ქულები, ხან დინოზავრებს, ხანაც უზარმაზარ უცნაურ ფრინველებს წააგავდნენ, ისევე როგორც, გზადაგზა დაყრილი უცნაური ფორმის ლოდები რომლისთვისაც გვერდი უნდა აევლოთ ან მობილის ამნეთი გვერდზე გადაენიათ. რაც მთავარია, გზა არ გახლდათ ჭაობიანი, რაც აქ ხშირია, თუმცა, ჭაობის დაძლევის საშუალებაც გააჩნდა მანქანას.

უცებ, ორმოცდამეათე კილომეტრზე, შერეული ტყის ზონიდან, ცხოველის უცნაური ღრიალი და ადამიანთა ველური წივილ-კივილის მაგვარი რამ გამოსცრა.

ეკიპაჟმა, რა თქმა უნდა, საბრძოლო იარაღები სათანადო მზადყოფნაში მომართა და ტყის იმ სიღრმისკენ დაიწყო მოძრაობა, საიდანაც ეს უცნაური გმინვა გამოდიოდა. ძნელად მაგრამ ხეების ავლით იმ ადგილს მიაღწიეს საიდანაც ეს ხმები მოდიოდა. ამის მერე კი, საზარელი სურათი გადაიშლება;

ერთ-ერთი გამძვინვარებული ეშვებიანი, დიდი დათვი, რომელიც როგორც ჩანდა ადგილობრივი ტომის დაგებული მახიდან ამომძვრალა, როცა ისინი შუბებით მის მოკვლას ცდილობდნენ და შემდეგ, სხვადასხვა მიმართულებით გაქცეულ ხალხს, ხოცვა-ჟლეტით დადევნებოდა.

ყველაფერი ნათელი იყო, სამშვიდობო მისიის წევრებმა უსწრაფესი გადანყვეტილება მიიღეს, ცხოველის ლიკვიდაციისა.

ავტომობილიდან უხმაუროდ, ლაზერით თავში დამიზნებით, რათა ზედმეტ ხმაურს ველურებში პანიკა არ გამოენვია, ორიოდე გასროლის შემდეგ, ცხოველი მიწაზე გაშხლართულიყო და ფეხებს უცნაურად ასავსავებდა.

ამის მომსწრე, ველური ადამიანების განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, ხან ერთმანეთს გადახედავდნენ, ხან ცხოველს, ასე უცებ სიკვდილი ვერ დაეჯერებინათ. ვერც ახლოს მისვლა გაეხედათ, რათა უფრო უკეთ დარწმუნებულიყვნენ მის სიკვდილში... ვერც ამ უცნაური მანქანის გაეგოთ რამე. შიშმა და სიხარულმა ეიფორიაში ჩააგდო ისინი. ხოლო, იქვე მიწაზე, დაჩეხილი და დაკბენილი ველურების გმინვა, გულის ამაჩუყებლად მოისმოდა.

მანქანიდან გადმოსული ეკიპაჟი, დემონსტრაციის მიზნით ჯერ, ცხოველთან ახლოს მივიდა, თავში კიდეც ერთი ტყვია დაახალა, მათ დასანახად, შემდეგ კი, დამტვრეული ადამიანების სათუთად ზრუნვას შეუდგა, იმ გადარჩენილი მაცხოვრებლების დასარწმუნებლად რომ, უცხო სტუმრები, არა ბოროტნი, არამედ კეთილი ადამიანები არიან.

ამ დროს, ქართველმა, ის ახალგაზრდა ქალი ამოიცნო ვინც ორმოდან ამოდრომაში მიეხმარა; კისერზე ის ნაჩუქარი ბრჭყვიალა პლასტიკური სურათებიანი ბარათები ჩამოეკიდ-

ნა, სხვებთან ერთად, ისიც მათ დამტკვრეულ ბელადს თავს დასტრიალებდა, რომელიც მწარედ გმინავდა.

აშკარა იყო, ბიჭები მასაც უნდა მიხმარებოდა და ბელადის მიმართულებით დაიძრნენ. მაგრამ, სხვა ველურმა მებრძოლებმა, რომლებსაც ხელში ხის წვეტიანი შუბები ეკავათ, ხელები მომართეს და ის ის იყო ბელადის მისახმარებლად დაძრულ ეკიპაჟისათვის შუბები უნდა დაეხალათ რომ, ის ახალგაზრდა ქალი შუაში ჩადგა და თავიანთ ენაზე რალაცის ახსნა დაიწყო, თან ყელზე ჩამოცმულ პლასტიკური ბარათების სურათებზე მიუთითებდა. ამან რატომღაც ისინიც მოალობო, მერე, ქართველმა გარისკა და მარტომ მიუახლოვდა ბელადს. ნახა რომ, ბელადს ხელ-ფეხი მოსტეხოდა, ტკივილს კი ვაჟკაცურად ებრძოდა. ქართველმა, იქვე დაგდებული ხის ორი ტოტი აიღო, ხელ-ფეხზე მალამო წაუსვა გასაყურებლად და ზედ დადებულ ტოტებთან ერთად ნაჭრით შეუხვია. მერე ისევ, იქვე მდგარ ეკიპაჟის წევრებს, დინჯად შეუერთდა.

ბელადმა იგრძნო რა ტკივილის დაამება, თავიანთ ენაზე რალაც წარმოთქვა:

– აუა... გალბა ... აუა გალბა!

ამ სიტყვებზე, ყველამ წამოიჩოქეს და თავები დახარეს, მერე ეკიპაჟს მიუბრუნდა და ხელის მოძრაობით თავიანთ ენაზე უთხრა:

– ტაბია, აბია! – ეს ნანადირევი თქვენია, წაიღეთო.

კეთილი დამოკიდებულების გამოსახატავად ეკიპაჟის წევრებმაც, იგივე გაიმეორეს.



– ტაბია, აბია! – არა, თქვენიაო.

– ტაბია, აბია... აბია! – კვლავ გაიმეორა ბელადმა, რომელსაც სხვებივით ტან-სახე მასაც სულ დაშრამული ქონდა.

მაშინ, ამერიკელმა შტატებიდან ხელით ანიშნა, თქვენც და ჩვენც, ტაბია, აბიაო, – ამაზე ბელადს ხმა არ ამოუღია.

მერე ეკიპაჟის წევრებმა, ეს უცნაური ნადირი, თავიანთი სუპერ თანამედროვე იარაღით, ველურების თვალწინ გამოშინეს, გაატყავეს და კოცონზე შედგეს. ამავე დროს, ეკიპაჟის ზოგი წევრი, დასახიჩრებულებს მკურნალობდნენ, ტკივილს უყუჩებდნენ და ქრილობებს სახვევით უხვევდნენ. ადგილობრივი ხალხი კი, განცვიფრებით ადევნებდნენ თვალს მთელ ამ პროცესს და ერთმანეთს რაღაცეებს თავიანთ ენაზე ჩასჩურჩულებდნენ.

ბოლოს, როცა სადილი შეიწვა და ირგვლივ ხორცის სუნი დადგა, რუსმა, ერთი დიდი ნაჭერი, ბელადს მიართვა. მერე ყველას დაუძახა და მიირთვითო, მაგალითი მისცა.

ეს დიდი, დათვის მსგავსი ცხოველის ხორცი ეკიპაჟის წევრებისთვისაც გემრიელი გამოდგა, მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის, სადღეზინფექციო აბები მაინც დალიეს.

როცა კარგად დანაყრდნენ, ბელადმა ხელების მოძრაობით და რაღაც სიტყვებით, ეკიპაჟის წევრები, თავისთან დაპატიჟა.

– ზაუა, უა, ზაუა... უა.

მისვლისას, აღმოჩნდა რომ, ბარაკები სადაც ისინი ცხოვრობდნენ, უზარმაზარი ვულკანური მთის ძირას მდებარე

რეობდა, ხოლო ვულკანური მთა თავიანთ ღმერთად მიაჩნდათ, რომელსაც „ჩაჩა-ჩაჩას“ ეძახდნენ, ანუ, ცეცხლთაყვანისმცემლები იყვნენ. ცეცხლს კი, ცხოველების წინააღმდეგ ღმერთის მიერ ბოძებულ იარაღად თვლიდნენ. ტომს, გარდა კლდის ქვაბულებისა, მცირე მეურნეობა და უცნაური, ქვის კედლებიანი ჩალმით დახურული სახლებიც ქონდათ.

საღამო ხანს, როცა ეკიპაჟის წევრებმა ნასვლა დააპირეს, ადგილობრივებს სახეზე წყენა დაეტყოთ, ხელით ანიშნებდნენ „რათა, აქ დარჩით ჩვენთანო“. მერე ძალიან, ძალიან რომ გაბრაზდნენ, ქართველმა ნება სთხოვა მეთაურს, მე გავრისკავ და ერთი დღით დავრჩები, თან ამათ ცხოვრების წესს შევისწავლი, გამოგვადგებაო.

გადაწყდა ერთი დღით დაეტოვებინათ.

ხოლო, მეორე დღეს, აუცილებლად გამოუვლიდნენ თუ მანამდის, რაიმე საჭიროება არ შეიქმნა. თან დაუბარეს: უსაფრთხოების მიზნით, იარაღი ახლოს გქონდეს და მთლად ნუ მიენდობიო. თვითონ კი, ხვალინდელი დღის დასაგეგმად ძირითადად ხომალდზე დაბრუნდნენ.


*

პლანეტაზე აქ ღამის ტემპერატურა 27⁰ უჩვენებდა. (ზამთარში ალბათ ვულკანური მთა უთბობდა მიწას) ღამის ციდან, ნიავი რომ წამოუბერავდა და პალმის ხეებს აამოძრავებდა, ტოტებს შუიდან დროდადრო მცირე, სავსე მთვარე შემოიჭყიტებოდა ხოლმე. შორი-ახლოდან უცნაურ ფრინველთა

ჩხავილიც გაჰკილავდა, რომ არაფელი ვთქვათ, პანანინა მწერების ბზუილზე, ტომი ოჯახებად ცხოვრობდა, მაგრამ, ერთი დიდი საერთო მოედანი მაინც ჰქონდათ, სადაც თავყრილობისას ერთ დიდ კოცონს ყოველთვის ანთებდნენ, ეს ცხოველებსაც აფრთხოდა. ცოტა ხანში, ძილის დროც დადგა, მაგრამ, არავის ეძინებოდა, მერე ბელადმა თავის ენაზე რაღაც ბრძანება გასცა და ხუთ წუთში მოზრდილი წრე შეიკრა, შემდეგ რიგრიგობით, გოგოები კოცონთან მიდიოდნენ, ხელთ არსებულ შუბისმაგვარ ჯოხებს ანთებდნენ და წრეში ცეკვებს იწყებდნენ. ეს ცხოველთან ბრძოლის რიტუალი იყო; ჯოხების ერთმანეთზე ბაკუნით და უცნაური შედახილებით, რომელსაც ეს სახე შეღებილი ხალხი გამოსცემდა, ძალიან გავდა ძველ აფრიკულ და სამხრეთ ამერიკულ ტომების ცეკვებს.

ცეკვისას ბელადი ხელებით და აქცენტებით თავისებურად ცდილობდა აეხსნა ქართველისათვის რომელიც ისედაც ველური ადამიანთა ენის სპეციალისტი იყო, რომ, ამ ცეკვას „ბრძენი თვალი“ ქვიაო:

– „ბრძენი თვალი“, – ეუბნებოდა იგი, – ყველაფერს ხედავს, „ბრძენი თვალი“ ამბობს: – გაჭირვებაში, ორი ადამიანი, მტრის ჯიბრზე, ერთმანეთს ეხმარება, და ამ დროს, ჩვენი ღმერთი, – ვულკანურ მთაზე მიანიშნებს, – ზეიმობს. როცა, ორი ბოროტი ჩხუბობს, ჭკუის სასწავლებლად, ჩვენი ღმერთი, – ისევ ვულკანურ მთაზე ანიშნებს, – ისევ ზეიმობს თავის გულში. „ბრძენი თვალი“ ყველაზე სწრაფი და უჩინარია. იგი, ყოველ მხრივ იხედება და ქურდი ვერ გამოეპარება.



ქართველი უსმენდა ამ სიბრძნეს და აოცებდა მისი ასეთი უნიკალურობა და უბრალოება. მოცეკვავეები კი აგერ უკვე ერთი საათი შეუჩერებლივ ასრულებდნენ თავიანთ ცეკვებს. ბოლოს, ბელადმა თავის ენაზე უთხრა ქართველს: ეს თქვენთვის ცეკვავენო, აირჩიე ვინც მოგენონება, შეგიძლია იქ წაიყვანო, – კლდის გამოქვაბულზე მიანიშნა და ზინ-ზინ გაუკეთოო...

– ზინ, ზინ, ზინ, ზინ, – იქო, ანიშნებდა ბელადი.

ეს შემოთავაზება, რა თქმა უნდა, ეუხერხულა, თუმცა დიდი ხანია ქალთან არ ყოფილა და უარი უთხრა. არაო, რამაც ბელადის სახე, დიდად განაცვიფრა და ქვეშევრდომებს უბრძანა, სტუმარი სასტუმრო ოთახში მიაცილეთო.

დასაძინებლად წამოწოლილმა გვიანობამდე ვერ მოისვენა, არც ეძინებოდა. ამათი ზნე-ჩვეულებაც ეუცხოებოდა. დროდადრო ძილქუში მაინც მოერეოდა ხოლმე, მაგრამ, სრულად პირველი დღე, მაინც ვერ დაეძინა. თან აზრი აეკვიატა, ამ განვითარებად ხალხში ქალები რატომ სჭარბობს კაცებსო, რალაც მიზეზი არსებობს, მაგრამ რა? ამას კი ამ ღამეში ვერ მიმხვდარიყო.

უცებ, ამ მთვარის შუქზე, ქვაბული ოთახის შესასვლელთან, თმა დაწნული, შიშველი, ტანადი, ახლად დაქალბული მანდილოსნის სილუეტი შედგა; აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, შემდეგ ოთახში შეიხედა, ისევ უკან დაიხევს, შეჩერდება და ისევე უცებ გაქრება, როგორც გამოჩნდა. ქართველმა გუმანით იცნო; ეს ის იყო, ორმოდან ამოსვლაში რომ მოეხმარა.




მაგრამ, ახლა, ამ უცნაურ სიტუაციაში ვერაფელი გაეგო, რა სურდა მას... მერე დაფიქრდა ... აღეგზნო და აფორიაქდა... არადა, ეს ბელადიც რა ალალივით იქცეოდა, ესეც აკვირვებდა მას, იყვნენ კი სანდოები „ეჰ გათენდეს და ყველაფერი გამოჩნდება“ – გადაწყვიტა ბოლოს. თან როგორც დაარიგეს იარაღს ხელს არ უშვებდა, რაციაც იქვე, ჯიბეში ედო. ამ სილუეტის შემყურეს გათენებამდე არ ჩაეძინა. განთიადისას ოდნავ ძილქუში დაეწყო... მაგრამ უცნაურმა ფაჩუნმა, ისევ გამოაფხიზლა,.. და როგორ აღმოჩნდა მის სანოლში, მის გვერდით ახლა ეს შიშველი ქალი, ვერ გაეგო. ცოტა ხანში კი, იგრძნო თუ როგორ ევსებოდა მოთმინების ფიალა... და, ის ის იყო „აქტი“ უნდა გაფორმებულიყო რომ, გარედან საშინელი ნივილ-კივილის ხმა გაისმა...

ამ ხმაზე, ქალი ქურციკივით წამოხტა და გარეთ გავარდა. ამ ეიფორიაში მყოფი, ოდნავ დახანებით, იარაღ მომართული, ქართველიც წამოდგება, გარეთ გავა და რას ხედავს: უცხო, ანუ მეზობელი ტომის ადგილობრივი ველური მცხოვრებლები, შუბმომართული ხოცვა-ჟუჟვით დასდევდნენ ამ მშვიდობიან ტომს...

სამაშველო სიგნალის გაგზავნა ვინ აცალა ქართველს, მისი გამოჩენისთანავე, ოდნავ ასცდა ნასროლი წვეტიანი ხის შუბი, რომელსაც მშვენივრად ფლობდნენ ველურები. ამან კი, ლაზერის იარაღის გამოყენებას, პნევმატური, ცეცხლსასროლი ავტომატის გამოყენება ამჯობინა, ხმის გამო. მიუშვა და

მიუშვა, იმათ, ვინც კი შუბიან, განსხვავებული შეფერილობის ველურს დაინახავდა. მერე, ცეცხლოვანი მაშხალაც გადააგდო იმ არეულობაში...



ავტომატის ხმაზე, ადგილობრივები ერთმანეთში შეიყუყუნენ, აგრესორი მეზობელი ტომის ხალხი კი, ზოგი ტყეში გარბოდა, ზოგიც, შიშისაგან ჩაკეცილებს ხელები თავზე წაეფარათ.

მთელი ეს ომი, 5-10 წუთში ჩამთავრდა. როცა ადგილობრივებიც აზრს მოეგნენ, ეს კოსმოსიდან ჩასული კაცი, ლამის ღმერთად აღიარეს, აღარ იცოდნენ რა პატივი ეცათ. საბრძოლო იარაღი მისი სხეულის ორგანო ეგონათ. ქართველი მიხვდა რომ, ხომალდზე განგაშის გაგზავნას ამჯერზე აზრი არ ქონდა, ხოლო, თუ, აგრესია კვლავ განმეორდებოდა, სიგნალს პირველ რიგში გაგზავნიდა. ახლა კი, თავი შეიკავა. სალამოსთვის ბიჭები ხომ თვითონ მოაკითხავენ.


შუა დღისთვის, ტომმა ისევ გამართა კონცერტი; უცხო სტუმარს, ხილი, თავიანთი ხელნაკეთი საჩუქრები და ქალები შესთავაზეს ასარჩევად. არ იცოდნენ პატივი რითი ეცათ. რამდენიმე კაცი მათაც მოუკლეს მტრებმა... და მაშინ მიხვდა ქართველი, თუ რატომ იყო ამათში ქალები კაცებზე უფრო მე-

ტი; ცხოველებთან და მტრებთან ბრძოლაში ბევრი კაცი ელუპებოდათ ამ მშვიდობიან მაცხოვრებლებს. ხვდებოდა იმასაც რომ, ეს ხალხი, დახმარებას, განვითარებასა და გამრავლებას საჭიროებდა.

*

ძირითად ხომალდის ნევრებს კი, გუშინ დაგეგმილი შემოვლა, უკვე კარგა ხანია, დილიდანვე დაეწყოთ. შემოვლის არიალი ისევ ჯერჯერობით 100 კილომეტრს შეადგენდა.

შემოვლის შემდეგ, როცა ეკიპაჟმა ქართველს სანახავად მიაკითხა, შეიტყვეს განთიადისას მომხდარის შესახებ და უსაყვედურეს, რატომ სამაშველო სიგნალი არ გამოგვიგზავნეთ. მერე ამათაც უამბეს შემოვლისას ნანახი და აღწერილი სანახაობები. თქვეს რომ, აქვე 15 კილომეტრში, ახალი ველური ტომი აღმოაჩინეს, რომლებიც თავიანთ ადგილობრივ ტომის ნევრებს, კოცონზე წვავდნენ და შემდეგ ჭამდნენ. მოყოლის დროს, გაჩნდა ვერსია; შესაძლებელი ყოფილიყო დილით ის ველური ტომი დასხმოდა ამათ თავს. შემდეგ აღმოჩნდა რომ, კვალი მართლაც იმ მხარეს მიდიოდა. კოსმოსურ ცენტრთან თათბირის მერე, სამშვიდობო კოსმოსურმა მისიამ, გადაწყვიტა დახმარებოდა ამ მშვიდობიან ტომს. ხოლო, აგრესორებისთვის სათანადო პასუხი გაეცათ, ან მათი ბელადი მოეკლათ, მაგრამ, ჯერ გადაწყდა ამ ტომისთვის თავდაცვის ილეთები ესწავლებინათ, შემდეგ ახალი იარაღები დაემზადებინათ მათ-



თვის, რომლებსაც თვითონაც შესძლებდნენ შეექმნათ დამოუკიდებლად. რაც მთავარია, ტომი თვინიერი და დამჯერი აღმოჩნდა. მაგრამ სწავლით, რაც მართალია, ძნელად ითვისებდნენ გაკვეთილებს. ამერიკელმა შტატებიდან, – ამათ რომ ვუყურებ, მილიონი წლის წინ ჩვენს პლანეტაზე ადამიანებად ჩამოყალიბება მაგონდებაო, ღიმილით ამბობდა.

მათი განვითარების გარდა, კიდევ ბევრი საქმეების კეთება ელოდა სამშვიდობო მისიას; ახლად აღმოჩენილ პლანეტის ლანდშაფტი უნდა შეესწავლათ თავისი ქიმიურ-ფიზიკური თვისებებით და ინფორმაციები დედამიწაზე ეგზავნათ პარალელურად. დრო კი, რა თქმა უნდა, განსაზღვრული იყო. ამიტომ, ორი კაცი ამათ მიამაგრეს, ორი მუდმივად მთავარ ხომალდს უდარაჯებდა, რომელიც, თითქმის მთლიანად წყალში იყო უსაფრთხოებისა გამო ჩასული. დანარჩენები კი, ყველგანმავლით შემოვლას გააგრძელებდნენ, რაც შეეხება შვეულმფრენით შემოვლას, ამაზე ჯერ-ჯერობით კვლავ თავს იკავებდნენ, ამიტომ პლანეტის შესწავლა ამჯერად ოკეანის დათვალიერებით შემოიფარგლა; რაც შეეხება მცირე ბატისკაფით ოკეანის აღწერას, იგი დიდად არ განსხვავდებოდა ჩვენს ოკეანისაზე, თუ არ ჩავთვლით გეიზერების სიმრავლეს, რომლებიც იქ უფრო სჭარბობდა. თევზებიც დიდად არ განსხვავდებიან; იგივე რვაფეხები, დელფინები, ზვიგენები და უამრავი ნარნარა ლამაზ-ლამაზი შეფერილობის ოკეანის ბინადარნი. რაც შეეხება წყლის შემადგენლობას, იქ იოდ-კალიუმი სჭარბობდა, რაც შიგ არსებული წყალ-მცენარეების სი-

ქორფეზე მიანიშნებდა, რომლებშიც ჩვენი ნავი გაეხლართებოდა ხოლმე.


ოკეანის შესწავლის და სამეცნიერო მასალების შეგროვებას, ეკიპაჟმა ორი კვირა დაუთმო, რადგან უფრო მეტ დროს, ხმელეთის შესწავლა საჭიროებდა.

*

მომდევნო შემოვლის რადიუსი, 200 კილომეტრით გაიზარდა. გადაწყდა ვულკანური მთისათვის გარშემო შემოვლოთ.

გზადაგზა ღელეები და თბილი გეიზერები ბლომად ხვდებოდათ, საიდანაც, ცხელი წყალი ბუტბუტებდა. შემოვლისას, მთის უკან, ახალი ტბა გამოჩნდა რომლის თავზე, უშველებელი, ნისკარტიანი ფრინველები პლანირებდნენ. ისინი უფრო დიდ სვავებს წააგავდნენ. ტბაში ბლომად იყვნენ ნიანგები, ისეთივე შესახედაობის როგორც ჩვენს პლანეტაზეა, ოლონდ, უფრო მასიურები. ტბის იქით, ისევ ხევი დაიჩითა, რომელიც დიდ კრატერს უფრო ჰგავდა. მდინარეების ნიადაგი, ბლომად ოქროს შემცველ ქვიშას შეიცავდა.

ამჯერად შემოვლა მშვიდობიანად დამთავრდა, თუ არ ჩავთვლით დაბრუნებისას მომხდარ ინციდენტს, რომელიც ჩვენს ეკიპაჟს გადახდა: საქმე ეხება, უცნაურ დიდ სირაქლემას, რომელიც მათ თავს იმ დროს დაესხა, როცა ბიჭები ავტომობილიდან ყვავილოვან მინდორზე მოსასვენებლად იყვნენ



გადმოსულნი. ეს, ნახევრად ფრინველი, ისეთი ჩქარი აღმოჩნდა რომ, მისთვის იარაღის ზუსტად თავში გარტყმა თითქმის შეუძლებელი შეიქნა, ამიტომაც იყო რომ, ხან ერთ ეკიპაჟის წევრს დაედევნებოდა, ხან მეორეს, არა და ლაზერით ტანის მონვა, ოდნავ აფერხებდა მას. ბოლოს ერთმანეთის დახმარებით, ბიჭებმა როგორც იქნა გააგორეს. ნანადირევი, წამოათრიეს და ბანაკში დააგდეს.

საკვებად, სხვათა შორის, გემრიელი აღმოჩნდა და რამდენიმე დღე ბევრს შიმშილს უკლავდა.

*

ამ ხნის განმავლობაში, ეს ადგილობრივი ტომი, უცხოპლანეტელებს ისე შეეგუა როგორც ერთგული ცხოველი თავის პატრონს შეეჩვევა ხოლმე. ეს არის რომ, ერთმანეთის ენის გაგება უჭირდათ, რასაც ხელების მოძრაობის მინიშნებით უფრო ახვედრებდნენ სათქმელს.

რამდენიმე დღეში, შვეულმფრენით ათას კილომეტრიანი რადიუსის შემოვლის დროც დადგა.

სამკაცრიანმა ეკიპაჟმა, რომელიც: ამერიკელი (შტატებიდან) რუსი და თურქმენისაგან შესდგებოდა, შვეულმფრენი ცისკენ უხმოდ აზიდა. დღე უღრუბლო შეირჩა, ამიტომ, 6 კილომეტრის სიმაღლიდან, ქვემო არიალი კარგად ჩანდა. რომელიც ძალიან წააგავდა დედამიწისას, ოღონდაც, უფრო ახალგაზრდა, მწვანედ იმზირებოდა.

– როგორ გაგვიმართლა, რა მშვენიერი პეიზაჟია, – თქვა თურქმენმა.

– მართლაც, კარგი პეიზაჟია, – დაადასტურა, რუსმა.

– თან ყურადღებით ვიყოთ, რაიმე ფრინველს არ შევეჯახოთ ამ სიმაღლეზე, – უთხრა, ამერიკელმა (შტატებიდან).

– ამ სიმაღლეზე რომელი გიჟი ამოაღწევს, – თქვა, რუსმა.

– რა იცი? – მიუგო, თურქმენმა.

– ყოველ შემთხვევაში, აგერ მონიტორს თვალს არ ვაშორებ, – მიუგო, რუსმა.

– გამოჩნდება და ჩამოგდება არ ასცდება, – თქვა, ამერიკელმა.

შემოვლა მალე დასრულდა. დაბრუნებისას გადაღებული მასალების ანალიზი ცხადყოფდა რომ, ადგილობრივი ტომები, გარდა იმ ორისა, რაც იცოდნენ, კიდევ იყვნენ რამოდენიმე ადგილებში. ერთ ადგილას ქვების უცნაური წყობაც შეამჩნიეს, რომელიც ჯერ ცივილიზებული ნაგებობა ეგონათ, მაგრამ, ფოტო გადიდებისას ასე არ აღმოჩნდა; ლოდები თავისებურად ადგილობრივ ტომს დაენყო. გადაღებულ სურათზე აგრეთვე კარგად გამოჩნდა დიდი დინოზავრის მაგვარი ცხოველი, თუ როგორ მიირთმევდა მალალი ხის ქორფა ფოთლებს. სრულიად მოულოდნელად, მათდა გასაკვირად და სასიხარულოდ გადაღებულ მასალაზე, ცხენების ჯოგი შენიშნეს, – რაზეც, ერთ-ერთმა წევრმა, „გვიგულავიაო“ წამოიძახა. შემდეგ სურათზე, უცნაური ცხოველი გამოჩნდა, დიდ თვალება, გაბერილი,

ცხვარს თუ ძროხას გავდა, პატარა რქები და ძუძუები ქონდა. და კიდევ საკვირველება; ვაკე ადგილას, მზესუმზირის პლანტაციები ქარში ყვითლად ბიბინებდა, რაც უმშვენიერეს სანახაობას წარმოადგენდა. შერეულ ტროპიკულ ტყეში ხშირად ერია დაფნის ხეებიც, რომლის ფოთლებსაც ველურები ყელის ტკივილისა და გაცივების საწინააღმდეგო საშუალებად იყენებდნენ, ცხოველები კი, უიშვიათესად თუ დააგემოვნებდა მას. (სხვათა შორის, ფოთლების ჭამა, ჩვენს ასტრონავტებისთვის უცხო მოვლენას არ წარმოადგენდა, ამის კეთება მათ კოსმოსში, ხომალდის სათბურში ხშირად უწევდათ, მაგრამ ამას აკეთებდნენ ვიტამინების აბებთან ერთად, სისხლის ანალიზის შემდეგ). სივრცითი დათვალიერებისას, ჩრდილოეთით, ერთი მაღალი პიტალო და მბზინავი მყინვარწვერი დაიჩითა. სიშორის გამო, ახლოს მისვლა გადაიდო, მაგრამ კოსმოსიდან იგი იყო უკვე გადაღებული.

სურათზე აღმოაჩინეს გეიზერები და მცირე ჩანჩქერებიც. არსად ამ ხნის განმავლობაში ცივილიზაციის ნიშანწყალი არ დაფიქსირებულა. არც ელოდნენ, რადგან მინამდე, დედამიწაზე კოსმოსიდან რადიოსიგნალები არ ფიქსირდებოდა.

გადაღებული მასალებით კმაყოფილები იყვნენ და ეს წარმატებული დღე, ოკეანეში, დიდი თევზის დაჭერით აღნიშნეს, რომელიც ადგილობრივებთან ერთად ზეიმით გაფორმდა. ხოლო, ადგილობრივების მხრიდან, მადლიერების გრძნობას საზღვარი არ ქონდა. აღარ იცოდნენ თუ რითი ეცათ სტუმრებისთვის თავის მხრივ პატივი და ქართველმა დაუშვა ასეთი

პრეცედენტი; გადაწყვიტა დაქორწინებულიყო იმ ველურ ქალზე, რომელმაც რომ, ორმოდან ამოსვლაში დაეხმარა.

– იქ, მიწაზე, ერთი უთვისტომო, ობოლი კაცი ვარ და ეს შანსი ხელიდან რატომ უნდა გავუშვა, – განუცხადა მან ეკიპაჟის წევრებს.

ამ გადაწყვეტილებაზე, მეთაურმა ასე იხუმრა:

– კარგი, ოღონდ, სწორი კუთხით შეფრინდი პლანეტაზე, ხომალდი რომ არ დაიღუპოს...

ქორწილი ნანადირევის შეწვით და ზარ-ზეიმით აღინიშნა. კოსმოსურ ხომალდში სამ წელიწად-ნახევრიანი პატიმრობის მერე, ქორწილი პირდაპირ მისწრება აღმოჩნდა. ეგ კოარადა, – აღნიშნავს ქართველი მოგვიანებით: – ჩვენს პრეტენზიულობათა თრობით ჩახუთული ქალებისაგან განსხვავებით, ამათ ქალებს, სექსუალური ნიჭის მეტი არაფერი აქვთო. ეს ნიჭი, ასე მგონია, დაბადებიდან მოსდგამთ მათო და სხვებსაც ურჩევდა მის მაგალითისთვის მიებაძათ: „ამ ხალხს, გამრავლება და განვითარება სჭირდება ყველაზე მეტად და ეს არის ახლა მათი გადარჩენის ქვეყანური გზა.“ მისი ნათქვამი ზოგ-ზოგიერთს ჭკვაში დაუჯდა...

*

ამ დროის განმავლობაში, პლანეტა, მშვენიერი დროის სატარებელი, სამეცნიერო სამუშაო ადგილი აღმოჩნდა; ნადირობდნენ, თევზაობდნენ ადგილობრივ ტომთან ერთად, თამაშობდნენ ბურთს, ასწავლიდნენ მათ თუ რაიმეს ათვისების ნი-

ჭი აღმოაჩნდებოდათ, სწავლობდნენ აგრეთვე ერთმანეთის კულტურას, ფოლკლორს, შეასწავლეს მათ ცხოველის ტყავი-საგან მარტივი და მოსახერხებელი ტანსაცმლის კერვა, ასწავლეს რკინის დამუშავება და საბრძოლო თუ საყოფაცხოვრებო იარაღის შექმნა; მშვილდისრით დაწყებული, ნაჯახით დამთავრებული. მათ თვალწინ აკეთებდნენ და ასწავლეს, ბორბლებიანი ურიკის დამზადება, ქვების გათლა და ბლოკებად დაწყობა. ეგ კიარადა, ეკიპაჟის ნევრებმა მათი დახმარებით, ქვის მცირე ეკლესია აუგეს და სწავლება, ათი მცნებით დაიწყეს, რაც არც თუ ისე იოლი იყო. ამ დროის განმავლობაში, ადგილობრივებს აგრეთვე ცხოველებისა და სხვა ბარბაროსებისაგან უკეთ თავდაცვის მიზნით, კლდოვან ფერდობზე, საცხოვრებელი გამოქვაბულები მოუნყვეს, და შიგ, უკეთესი პირობებისათვის წყალიც გაუყვანეს.

ერთხელ, სამხრეთ ამერიკელმა, ველური ყურძნისაგან რომელიც აქ ხშირი იყო, მაჭარი დაამზადა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს მიართვა... ცოტა ხანში, მათ სახეზე სიმთვრალის ელემენტები შეამჩნიეს. მერე თამამისა და ცუდლუტობის ხასიათზეც მოვიდნენ, განსაკუთრებით ქალები აღეგზნენ, ცეკვა თამაშები გამართეს. მათ სახეებზე უკვე შიში აღარ იკითხებოდა. მაჭარი ბელადსაც მოეწონა და დამზადების რეცეპტიც თავისებურად ჩაინიშნა, ნახატების საშუალებით.

ასე გადიოდა თვეები შრომასა და ხალისში. დარდი და გაჭირვება ვიღას ახსოვდა, იყო ქორწილები და დროსტარება.

მაგრამ ერთხელაც, ერთ მშვენიერ დღეს, კოსმონავტების ხელსაწყომ, მიწისძვრის მოახლოება დააფიქსირა. რამაც ხომალდის წევრებს საზრუნავი გაუჩინა. ისინი უფრო ადგილობრივზე დარდობდნენ ვიდრე თავიანთ თავებზე, რადგან, თვითონ ხომალდზეც კარგათ შეაფარებდნენ თავს. საქმე იმაში იყო ახლა თუ, როგორ აეხსნათ ამათთვის და მათი ბელადისთვის მთელი ამ საშიშროების უბედურება. რომ, საჭირო იყო დროებით გასცლოდნენ ამ ტერიტორიას. რომ, შესაძლებელი იყო, მწვერვალზე არსებული ვულკანის სრული ამოფრქვევა. იაპონელი შეეცადა ამის ახსნა-განმარტებას ხელებით და ფეხებითაც, მაგრამ ამან, ბელადის ეჭვი გამოიწვია და წასვლაზეც უარს იყო. სხვები კი, მის გარეშე ფეხის მოცლასაც ვერ გაბედავდნენ. დიდ პატივს სცემდნენ თავის ბელადს და ამიტომ, თუმც, სხვა საქმეებში, მეტად თვინიერები გახლდნენ.

- მე ვიცი როგორც მოვიქცეთ, – თქვა, რუსმა,
- როგორ? – იკითხა იაპონელმა და თვალები კიდევ უფრო მოჭუტა.
- როგორ და მცირე მიწისძვრა მოვუწყოთ და შიშისაგან გამოგვყვებიან...
- ჭკვიანურია, – თქვა, სამხრეთ ამერიკელმა.
- კარგი, ასე ვქნათ, – დაეთანხმა ხომალდის მეთაური, – ხვალიდანვე შეუდექით ამის გაკეთებას, თუ გვიან არ იქნება ყოველივე ეს.

ნაღმი იმ ღამესვე იქნა ჩამონტაჟებული ღრმად მიწაში. კვამლიანი შაშხანაც მზად ქონდათ დილისათვის ასამოქმედებლად...

... და აი დილას, როგორც კი ირიჟრაჟა, ბიჭებმა თავიანთი ჩანაფიქრი აამოქმედეს. მერე ერთი მაგრად ყრუდ დაიბუხუნა, მიწა კარგა ძალზე შეტორტიმანდა, დაახლოებით 4 ბალით, მერე იქაურობა სულ გაიბოლა, რაზეც ყველანი გარეთ გამოვარდნენ და იმის მაგივრად რომ კოსმონავტებს გაჰყოლოდნენ, მიწაზე ჩამუხლებულები ხელებს ვულკანის მთისკენ ასავსავებდნენ და მათი ბელადთან ერთად გაყვიროდნენ;

– აბაი ტუა... აბაი ტუა, – ანუ ღმერთო შეგვინყალო, რაღაც ამდაგვარი.

როგორც ჩანდა ამ საქმიდან არაფელი გამოვიდოდა, ამიტომ გადანყვიტეს, სასწრაფოდ ოკეანემდე სწორი გზა გაეყვანათ, სუპერ ტექნიკის საშუალებით და ვულკანის ამოფრქვევის შემთხვევაში, ორივე ყველგანმავალი ამფიბიების საშუალებით, ვისაც დაიყოლიებდნენ, ძალით თუ ნებით, ეს ხალხი განერიდებინათ უბედურებას.

– სხვა გზა არა გვაქვს, ძმებო, – თქვა ქართველმა.

– საეჭვოა მხოლოდ დროში როგორ მოესწრება ეს ყოველივე, მაგრამ შენი თქმისა არ იყოს, სხვა გზა არ გვაქვს, – თქვა, ამერიკელმა შტატებიდან.

– უნდა გავრისკოთ და აქედან ფეხი არ უნდა მოვიცვალოთ, – თქვა, მეთაურმა, – სამი კაცი ხომალდზე მუდმივად

იყოს. და მისი უსაფრთხოება უზრუნველყოს, რათა, დიდმა ტალღებმა ნაპირს არ გამოირიყოს...

სამი დღე და ღამე ელოდნენ კოსმონავტები ნახევრად მძინარენი, მიწისძვრის მოახლოებას. მეოთხე დღის გვიანი ღამით კი, როგორც იქნა იგრიალა, მაგრამ რა იგრიალა; ჯერ მიწა შეინძრა, ექვს ბალამდე, მერე იელვასავით და მთიდან მთელი ენერგია ცისკენ ავარდა, ცეცხლის ენები ზარბაზანივით ილტვოდა ცისკენ, მთა გავარვარებულ, წითელ ლავას აფურთხებდა.

ქართველმა, პირველ რიგში, თავისი ცოლი, ხოლო, სხვებმაც თავიანთი ქალები ყველგანმავალში ჩატენეს... კიდევ რამდენიმე ადამიანი დაიყოლიეს, გარდა ბელადისა და მისი რამდენიმე გარემოცვისა. დრო კი არ იცდიდა, ბელადი დარჩა, თავისი გარემოცვით.

ყველგანმავლები, როგორც კი შეიძლებოდა სწრაფად მიიწევდა გაყვანილი გზით ოკეანისკენ, ასე, რამდენიმე კილომეტრი იარეს, სანამ სანაპიროს მიაღწიეს. კიდევ გვერდით დაცილდნენ, უფრო უსაფრთხოების მიზნით. მხოლოდ ამის მერე გააჩერეს მანქანა, გადმოვიდნენ იქიდან და გაყურებულები უყურებდნენ თუ როგორ აფრქვევდა დროდადრო მთა ლავებს...

მთა მთელი ღამის განმავლობაში ისროდა თავის თუ შეიძლება ასე ითქვას, ბოლმას. ხალხი ერთად იდგა, ამ სანახაო-

ბას, მთელი ღამე უყურებდა. არავის სძინებია ამ ღამეს, ჰაერი გოგირდის სუნით იყო თითქმის გაჯერებული.

დილას, ბურუსის მაგვარი სერი ნისლი იწვა გარშემო. მთა ვულკანისაგან დამცხრალიყო, მხოლოდ შავი ბოლი ამოდოდა იქიდან, თითქოს ჩიბუხს აბოლებსო ისე.

შუა დღისათვის, როცა ვულკანიდან არავითარი აგრესიის ნიშანწყალი. აღარ იყო გარდა შავი ბოლისა, გადანყვიტეს დაბრუნებულიყვნენ რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა და თავისი თვალით ენახათ თუ რა მოხდა იქ, დარჩა თუ არა ვინმე ცოცხალი, ან მიხმარება, ხომ არ იყო საჭირო.

ძნელად, ლოდების ავლით როგორც იქნა მივლენ იმ ადგილას სადაც ადგილობრივი ტომი სახლობდა. მიდამო და ეზო გარემო, შავი ფხვიერი ფერფლით იყო გაჯერებული, ხეხილს ტოტები ჩამომტვრეოდა. ირგვლივ სამარისებული სიჩუმე სუფევდა. კაციშვილის ჭაჭანება არ ისმოდა. მერე იმ ქვაბულისაკენ აიხედეს, ეკიპაჟის წევრებმა რომ გამოთხარეს და ჰოი საოცრება; კლდოვანი გამოქვაბულიდან, ბელადი თავის ხალხთან ერთად შეყუყულიყვნენ და იქიდან გამურული მაიმუნე-ბივით იჭყიტებიან, ხმასაც კი არ გამოსცემენ. ეტყობოდათ რომ, მომხდარის გამო, ჯერ კიდევ შოკში იყვნენ. მათ დანახვაზე, სიხარულისაგან ყველამ ყიჟინა მორთო. ეკიპაჟის წევრებსაც ისე ეამათ, თითქოს მათი ოჯახის წევრები ყოფილიყვნენ.

– ამათ რომ ვუყურებ, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ბაბუაჩემი მიყურებს და ჩუმიად დამცინის, – თქვა, თურქმენმა.

მერე ისევ მოიყარეს ყველამ ერთად თავი. ვისაც დამ-
წვრობა ქონდა მიღებული, მალამოთი დაუამეს. ხოლო, ვინც
ისევ შოკში იყო, დამაწყნარებლით უმკურნალეს.

რამდენიმე დღის მერე ფერფლის განმენდაც დაამთავ-
რეს, მთელ მოედანზე რომ იყო მოდებული. ნელ-ნელა ყველა-
ფერი თავის ადგილას ლაგდებოდა, დანგრეული ქოხები
კვლავ ააშენეს.

მოგვიანებით, როცა რუსმა და ქართველმა შვეულმფრე-
ნით მიდამოს დათვალიერების მიზნით ვულკანურ მთას შემო-
უფრინეს, აღმოჩნდა რომ, ის ველური აგრესორი ტომი, რომ-
ლებიც მაშინ თავს დაესხა მეზობელ ტომს, სულ ჩამწვარიყო
და ირგვლივ არც ცხოველებისა თუ ფრინველების ნიშანწყალი
არ ჩანდა. ანუ, ლავა აგრესორი ტომის მხარეს ჩაქცეულიყო.
ალაგ-ალაგ, ტყის მასივებს ცეცხლი ნაჰკიდებოდათ, მაგრამ,
წვიმებმა როგორც ეს იქ ხშირად იცის, ხანძრები ნელ-ნელა
სულ დააზრო.

მოგვიანებით, ასტრონავტებმა ცივი ვულკანური ლავი-
დან სინჯები აიღეს და გადარჩენილებმა, გადარჩენის აღსა-
ნიშნავად ერთი კარგი კონცერტი მოაწყვეს და გადაწყვიტეს,
სიმამაცის გამო, ბელადისათვის დიდი ქვის ძეგლი დაედგათ,
მტრების გულის გასახეთქად.

ახლა მთელი ამ მიდამოების ბატონ-პატრონი, თუ შეიძ-
ლება ასე ითქვას, ვულკანის წყალობით, ეს მშვიდობიანი ტო-
მი იყო და იგი ნამდვილად განვითარებასა და გამრავლებას

იმსახურებდა, რასაც ცხოველებისაგან განსხვავებით მათი ახალი ტრადიციები, მოქნილი ენა და თითები განაპირობებდა.

*

სამწუხაროდ, კოსმონავტების მისია, ორ თვეში იწურებოდა. მთელი ეს დარჩენილი თვეები, კოსმონავტებმა ამ განვითარებადი ხალხის დახმარებასა და პლანეტის გეო სტრუქტურის შესწავლაში გაატარეს. რაც მთავარია, მისიამ ადგილობრივებს, ცხენის მოთვინიერება და ზედ ჯირითი ასწავლა. ძნელად მაგრამ მაინც დააინტერესეს აგრეთვე, იმ უცნაური თხა-ძროხის მოთვინიერება და მოწველა, რომ არაფერი ვთქვათ, ჩაის სმასა და მზესუმზირის ზეთისაგან საჭმლის დამზადებაზე, რომლის შესწავლაც, ქართველმა აილო თავის თავზე.

– პირველად ვხედავ, ქმარი ცოლს საჭმელის კეთებას ასწავლიდესო, – ხუმრობდნენ ბიჭები.

– ყველამ თავის ცოლს უნდა ასწავლოს, – მიუგებდა იგი.

კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა აგრეთვე, ეკიპაჟის წევრებსა და ბავშვებს შორის; მათთან ერთად თამაშობდნენ ბურთს, უმზადებდნენ საბავშვო შვილდისრებს, ასეირნებდნენ ავტომობილით, დაუმზადეს პატარა ურიკა, რომელსაც დიდებიც სიხარულით დააგორებდნენ. იაპონელმა, მოედანზე ელექტრო განათება მოუწყო, რომელიც მარტივად დასატენი იყო; მექანიკური წნევის შექმნით ორი ქიმიური ნივთიერება დენს გამოიმუშავებდა, ჰელიო ნათურის ასანთებად... კიდევ,

ტერიტორიას ქვის მტკიცე საცხოვრებელი ნაგებობები შეჰქმამტეს, რომლებშიც თავიანთ ცოლებთან სიამოვნებით ცხოვრობდნენ. აგრეთვე შემოგარენში ცხოველების დასაჭერი ორმოები გაუმრავლეს.

ხოლო, როცა მ თვიანი სამშვიდობო მისია მთლად ამოინურა და ეკიპაჟი ჩვენს პლანეტაზე უნდა დაბრუნებულიყო, ბიჭებს მოენყინათ, სახეები დაუდარდიანდათ.

– დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი კიდევ რომ შეიძლებოდა, – თქვა, ქართველმა მონყენით.

– ეჰ, მეც, – ამოიხვნეშა, თურქმენმა.

– მეც,

– მეც,

– მეც,

– მეც, მაგრამ მოდით ეს თქვენი ოცნება სხვა დროისთვის გადავდოთ, – თქვა, შვეიცარიელმა, ხომალდის მეთაურმა, – კარგათ იცით წინ კიდევ რა დიდი საკეთებელი გველის. სანამ შინ დავბრუნდებით, ამ ვარსკვლავის თანამგზავრებს უნდა გადავულოთ სურათები და კიდევ ვინ იცის რა, ასე რომ, მზადება დაიწყეთ, ზეგ ღამე, ამ ხალხის თანდასწრებით, პლანეტას ვტოვებთ.

*

ეკიპაჟმა მზადება დაიწყო: პლანეტის ნიადაგიდან აღებული მასალებს სპეციალურ კონტეინერში აწყობდნენ და ძირითად ხომალდში მოხერხებულად ალაგებდნენ. გადაღებულ

ძვირფას მასალებს თავის ადგილას ათავსებდნენ. შემონმდა, უსწრაფესი როტორი და ხომალდის მაგნიტო-გრაფიტაციული ველები. ასევე გიროვერტიკალი და სხვები...

ამასობაში, კოსმოსური ხომალდის სტარტის დღეც მოვიდა. ადგილობრივ ხალხთან დამშვიდობება ძალზე შთამბეჭდავი გამოდგა; უყურებდნენ ერთმანეთს და სინანულისგან ვერავითარ ხმას ვერ იღებდნენ. გულის სიღრმეში ყველას სიამტკბილობით გატარებული ეპიზოდები აგონდებოდა, თუმცა ჩვენი პლანეტაც ენატრებოდათ. რალაც მომენტში, ქართველმა იქ დარჩენა გადაწყვიტა, მაგრამ ბიჭებს ხომ ვერ მიატოვებდა, საქმეს ვერ უღალატებდა.

სტარტამდე, კოსმონავტებმა კიდევ აჩუქეს სამახსოვროდ თავიანთი ნივთები. ამ ხნის განმავლობაში, ზოგ-ზოგიერთებს, ცოლები დაუორსულდათ, რაც გულის სიღრმეში დიდ სიხარულს იწვევდა. ბოლოს კოსმონავტები ადგილობრივებს კვლავ ჩასვლას დაპირებდნენ და ეკიპაჟი თავის მისიის დასრულებას შეუდგა...

შუა ღამისას, ხომალდმა სტარტი აიღო, კოსმოსში აიჭრა, პლანეტას შემოუარა, კოსმოსური აჩქარებით დაიტვირთა და მიწისკენ გამოემგზავრა.

გზადაგზა, როგორც დაგეგმილი იყო, სხვა თანამგზავრებს რაც შეიძლება ახლოს ჩაუფრინეს, შემოუარეს და სურათები გადაუღეს, რომლებზეც სიცოცხლის არავითარი ნიშანიც არ ჩანდა. აგრეთვე გზადაგზა, კოსმოსის კოპირებასა და ახალი ასტეროიდების და მათი მოძრაობის კოორდინაციე-

ბის ასახვას აკეთებდნენ, რომლებსაც შემდეგ, შინ დაბრუნებისას, უფრო კარგად გამოთვლიდნენ წარმოადგენდა თუ არა იგი რაიმე საშიშროებას და საჭირო იქნებოდა მისი აფეთქება თუ მიმართულების შეცვლა ან რომელიმე უსიცოცხლო პლანეტისათვის შეჯახება და სიცოცხლის რაიმე ნიშანწყალის შექმნა, როგორც ეს, წინა საუკუნეებში, წარმატებით გაკეთდა, მზის სისტემაში.

ეკიპაჟმა, თუ არ ჩავთვლით პატარა ექსცესებს, (ზოგიერთი გადაიღალა და სანამ დედამიწას მიაღწევდნენ მანამდის (ლიტურგიული) ძილი არჩია) თავისი მისია ბრწყინვალედ შეასრულა და ხომალდი ჩვენს პლანეტაზე, ოკეანეში მშვიდობიანად დაეშვა.

კოსმოსურ ცენტრში, ეგრეთწოდებულ „შესანიშნავ შედეგულს“ ზარ-ზეიმით დახვდნენ.

* * *

შემდეგ მოგვიანებით, როცა უკვე საკმაოდ დრო გავა და ჩვენს ეკიპაჟის წევრებს ასაკი დაემატებათ, შეიკრიბებიან თუ მარტონი იქნებიან, ყოველთვის გაუელვებთ ფიქრი, „ნეტავი იქ რა ხდება? როგორ არიან, გამრავლდნენ თუ არა ხალხი, მშვიდობაა თუ არა, მომავალი თაობა რას შვრება?... ბელადი ცოცხალია თუ არა? იქნებ დავრჩენილიყავი?“... და ათასი რამ...

– ისე, რა არის ადამიანის ბუნება, – წამოსცდა ერთხელ ერთ-ერთ მათგანს, შეკრებისას, – იქ ვიყავით, აქაურობა გვენატრებოდა, აქ ვართ და იქაურობას ვნატრობთ.

– წასვლა ვერ მოხერხდა, – თქვა მეორემ, – მაგრამ იქნებ მომავალმა თაობამ გააგრძელოს ჩვენი საქმე, იქნებ ჩავიდნენ და ხანგრძლივი მუშაობა განიონ.


– ამინ, – თქვა მესამემ – ღმერთმა ყველას ხელი მოუ-მართოს კარგ საქმეში.

– ძმებო, აგერ უკვე ოცდახუთი წელი გავიდა მას მერე, თითქმის საიუბილეო წელია, მინდა კიდევ ერთხელ გავისხენოთ იქაური ამბები, – თქვა, ამერიკელმა შტატებიდან – ა, რას იტყვით?

– ერთ სასაცილო ეპიზოდს გაგახსენებთ ახლავე, – თქვა, სამხრეთ ამერიკელმა, – გახსოვთ, ტომის ხალხს პირველად დინამიკიდან როკ კონცერტი რომ მოვუწყვეთ... გახსოვთ მათი განცვიფრებული შეშფოთებული სახეები? – იცინოდა, სამხრეთ ამერიკელი.


– მერე ხომ კარგად მიეჩვიენ, – თქვა ქართველმა, – კიდევ სურდათ მოსმენა, ზოგი აცეკვდა კიდევ, გახსოვთ...?

– ის თუ გახსოვთ, პატარა მარტორქის შვილი რომ მოცუნცულდა თავის ფეხით, ეშვებიანმა ჩხუბისას მშობელი რომ მოუკლა. ველურებს შეჭმა უნდოდათ. მე გადავარჩინე, ჯიგარი, – ამბობდა, თურქმენი, – ისევ ტყეში გავაპარე.



– ამდენ ლაპარაკს, აგერ დისკეტა და თავიდან გადავაფლოთ თვალი, გულს მოგვეფინება, – თქვა იაპონელმა და ვიდეო დისკეტა კიდევ ერთხელ ჩართო.

კარგა ხანს უყურებდა ეკიპაჟის წევრები იქ, სიამტკბილობით გატარებულ ოდისეას... ზოგს თვალზე ცრემლიც მიადგა... მოგონებები გვიანობამდე გაგრძელდა, მინამდე სანამ სარკმიდან, პლანეტა ვენერა თავისი მშვენიერებით არ გამოჩნდა, გამოჩნდა როგორც ჩვენი დროისა და სივრცის გზაჯვარედინზე განახლებული ბინადარი, როგორც შემოქმედების სიკაშკაშე.



იოსებ (სოსო) შოთას-ძე ტაბიძე

კოსმოსური ოდისეა 3001

ფანტასტიკური მოთხრობა

მხატვრობა: ავტორისა.

Ioseph Tabidze

Cosmic Odyssey 3001

გადაეცა დასაბეჭდად 09.11.09 წ.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge